

ავთანდილ არაბული

ქართული ენის სამყარო

5

4

ქართული ენის საფუძვლი

4

5

გოდერძი ვაჭარიძე

დასავლეთ საქართველოს ხესურ ჰიმოციად გახდაქმნის ეთი ბაგმა (XIX ს. 60-იანი წლები)

6

შუშუნა შვიძროშვილი

ქართული

7

4

ნიკოლოზ მეტრეველი

8

ტარიელ შუტგარაძე

ტრენისათვის სიუჟილი ანუ მეთლემული მწიბის გამაბჯურება

7

ლიტერატურა

გოდერძი ვაჭარიძე

ქართული ენა

გალაკტიონ გაბიძეს აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი: „რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა, რომ მთელი ძალა სულისა ერთი წერტილისკენ მიმართო. რომ შექმნა რაიმე დიადი, ერთი რაიმე დიადი, უნდა გახდეს მთელის შენის არსებით ნაწილი მეორე, არსებული დიადისა“.

იგი მთელი სიცოცხლე სწორედ ამ დიადის ესწრაფოდა.

„ეს ფუსფუსი პაგარ-პაგარა ხალხის ჩემთვის სრულიად გაუგებარია, - აღნიშნავდა იგი თავის დღიურში და დაბასკენიდა, - რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა ვადაცხრილო ეს ხალხი, ეძებო მათში საუკეთესო თანამგრძობლები“.

დავინებით იმეორებს: „რომ შექმნა რაიმე დიადი, საჭიროა სინათლე, ბევრი სინათლე“.

ამას კი სჭირდება შესაბამისი განწყობა: „გამეღვივა ადრე... ფანჯრები გაბაღვი-დიდებული მზიანი დღეა... ვიგრძენი რაღაც ძლიერი სისხარული, რომლის მსგავსი მხოლოდ ბავშვების დროს თუ მიგრძენია, თვალები რომ დაფხუჭე, ცისარტყელას ფერები აირია და მოეხევა მთელ ჩემს მომავალს, მთელ მსოფლიოს... რა დამამშვიდებელი გრძობებია, რა თბილი დღეა... სახურავზე ბრწყინავს მზე, შორეულ მთებს,

არა, მახლობელ მთებს ჯერ არ მოსცილება დილის ბურუსი. რომ შექმნა რაიმე დიადი, ბევრი უნდა გქონდეს ამნაირი დღეები“.

თვითდარწმუნებაც: „რომ შექმნა რაიმე დიადი, უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის... რომ შექმნა რაიმე დიადი, არ უნდა გემინოდეს სვალინდელი დღის...“

გმა დიადის შესაქმნელად მისთვის მხოლოდ პოემიამე გადის: „პოემიაა ყოველის მფლობელი, როგორც სიყვარული და სიკვდილი“. ეს ამრი დეკლარაციის სახითაც არის გაცხადებული მის ერთ-ერთ წერილში: „საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოემია და პოეტებისათვის უპირველეს ყოვლისა არსებობს - საქართველო!“

მისი შემოქმედებითი კრედიტო: „დიდი გილოების ამბები მიქარვია და შანგაჟი. ორმა ლაკონიურმა სტრიქონმა შეიძლება შეითავსოს უზარმაზარი პოემა“. პოემების წერა თვითონაც სცადა, მაგრამ ეპოსი აშკარად არ იყო მისი მოწოდება. ეპოსი ხორციელ სახეებს მოითხოვს. მისი ბედისწერა კი მხოლოდ სულიერი სიმაღლეების წვდომა იყო, აბსტრაქტული ხაგების შექმნა - ისევე, როგორც ლეთაბრობის ნიშნით ადბეჭდილ მუსიკაში.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

რეზაზ სირაძე

გიორგი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა

(გაგრძელება)

გიორგი ათონელის ნაწარმოებში ძალზე დიდად მნიშვნელობს ართქმა ბევრი რამისა. ასეთი ართქმა კმედიითი ფსიქოლოგიური ფაქტორია. თანაც ართქმა ზრდის თქმულის, მონათხრობის მნიშვნელობას.

იოანეს საერო ცხოვრება თითქმის არა ჩანს. ჩანს მხოლოდ მცირე რამ.

„ესე ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაათათიდან ლიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხენ და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი პასაკითა და... გულისხმის ყოფითა“ (თ. II). იქვე ავტორი დასძენს: იოანე იყო „ფრიად საყვარელი და საკუთარი კეთილად ხსენებულისა დავით კურაპალატისა“.

თხრობა ასე გრძელდება: „დატოვა „მეუღლე და შვილი თვისი და ნათესავნი“ და „ალილო ჭუარი მხართა თვისთა ზედაო“ (თ. II); ამის მერე - ოთხთა ეკლესია, ულუმბოს მთა და შემდეგ ათონი, ათანასეს ლავრა.

შემდეგ - ივირონის დაარსება; ეს აღიწერება ასეთი კითხვის ფონზე - რანი ვართ? „ეკნი ვართ სახელოვანი და ქართველი მოგვმართებენო“ (თ. V) და ამიტომ გადაწყვიტეს მონასტრის დაარსება.

„მოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმინდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ლეთისშობლის სახელსა ზედა და

წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისა... და ადგილი მრავალნი, მონასტრისა და საყვარულნი გარემოსი დიდისა მონასტრისა, ვიდრე იმერად ზღვამდე თვისითა საფასითა იყიდნეს, რომელნი იგი შუენიერი არიან და საწაფელ“ (თ. VII).

მშუენიერების წარმოდგენა ვგრძობთ ახლაც აღმსარებლობითი შინაარსის მქონე ამბებს.

აგიოგრაფიაში ბევრი რამაა ისეთი, რაც არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება და მის მიერ ახსენება მოვლენათა მთელი არსი. მაგალითად ვუცხვ გვარი ქნაღობა, შემოქმედება სიბრძნის ძლიერ ხდება. ამისი საფუძველია „ივანო“ წიგნი. „სიბრძნეჲნი იშენა თავისა თვისისა სალა და ქუეშე შუენიერ მას შვილი სუენი“ (თ. II).

„სიბრძნე გამოსავალია ზედა იქმნი მღრ გ მერჩულე, თავი II ეს რომ ლოვოსურა სიბრძნე ამას ადასტურებს „სიბრძნე სოლომონისა“ (თ. I); „შექმნენ ყველი სიტყვითა შინით“.

ე. პანოფსკის, ო. ზონ-სიმონისა და სხვათა შრომები გვიჩვენებს, თუ როგორ ანახა გოთიკაში ფილოლოგიური და სტრუქტურული იდეები ზეციური საფარის იერარქული წყობის შესახებ (იხ. კრ.: დასავლეთის თანამედროვე ხელოვნებაში სიმბოლოს მისიონი 1977). იერარქიზმის პრინციპი არცაალოა გაორგი ათონელის სიტყვებში: „ეკლესიანი - ცათა მომბაძვნიო“.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

კლუბის ენა

რუსთაველა,
ისე არქიმედს.
მეცნიერება,
როდესაც მას
თანაბრად ვნება –
თანაბრად არის
პოემის ზემოთგონება!
სრულ უნაკლობას
და სრულყოფას
მოითხოვს მკონის
შეგნება შრომის
უმაღლესის
და პატიოსნის“.

აქ კიდევ ერთი, ჭეშმარიტი პოემისთვის გარდუვალი პრინციპია გაცხადებული: უმუნავესი შთაგონება მაღალ მწიგნობართან უნდა იყოს შეუღლებული.

პოემა არის არა მხოლოდ შინაარსი, არამედ ამ შინაარსის შესაბამისი გამოხატვა:

„დასაბამიდან
მოლილელებს
ლირიკის შუქი,
იგი არ არის
უბრალო რამ,
რამე მსუბუქი
ზენა-ნიჭს გარდა –
გემოვნებას
მისას ეწევა
თავისებური
გამოსახვა
და შემეცნება“.

ეს გამოსახვა, როგორც ითქვა, უპირველეს ყოვლისა, სიგვეიერი სამოსია:

„პოეტს, რომელსაც
სურს იპოვოს
გამომხილი,
უნდა შეეძლოს
სიგვეის მისცეს
გრძნობის მახვილი.
უნდა იცოდეს
აზრისა და ხმის
შესაბეჭად,
ერთგვარ წესრიგში
მოიყვანოს
ღვე, შეღამება“.

სწორედ სიგვეით ისხამს სორცის ის პოეტური სამყარო, რომლის თანამაირი სდება მკითხველი, სიგვეის შესწევს უნარი, გამოიწვიოს როგორც სულის მღვდლარება, ასევე ნეტარი სიმშვიდე – ადამიანური გზების ეს ორი გამოვლინება.

პოეტური სიგვეის მიზანი ნათელია:

„ამრთ შინაგანი
მოძრაობა,
ბუნება გრძნობად –
უნდა გაისხნას
გარეგანად
იმ მოძრაობად,
რასაც იძლევა
სიგვეათ რიგში
და პარმონია...“

ანუ: პოემის უზენაესი მიზანი – პარმონია მიიღწევა „სიგვეათა მათ ცოცხალთა თანაბგერებით“. ხოლო –

„მძლე პარმონიის
კანონების
დაცვის გარეშე
ჩნდეს პოემა
სიბუნელოში და
სიმეცნარეში“.

ეს პარმონია მხოლოდ ენის ღრმად შინაგანი ბუნების ამოცნობით მიიღწევა. რა თქმა უნდა, პოეტისათვის ენის გამოხატველობით საშუალებებთან გაცნობიერება უპირატესად ინტუიციის საშუალებით ხდება. არსებითად, ესაა ენის ადლო, რომელიც საუფუძლად უღვეს ჭეშმარიტ სიგვეათ შემოქმედებას. პოეტი თავისი დედაენის საუფუძელზე ქმნის ახალ ენობრივ სამყაროს, რითაც ხდება მისეული მსოფლადქმის ხორცშესხმა. ამიტომაც:

„დამარცხებულა
ვისაც ენის
გმა შეუცვლია!“

რა თქმა უნდა, ენა თვითმიზანი არ არის პოეტისათვის, მაგრამ იმედროულად იგი ერთადერთი საშუალებაა, რითაც მიიღწევა სულიერი აღმშენების გაცხადება.

„მთავარი ძარღვი
პოემის
ზომაა, რითმა...
მაინც იმაზე
უმთავრესი
სხვა დედაარსი
არის მშენიერ
პოემის
იღვა, აზრი“.

ამდენად:

„იღვა, აზრი,
ზომა, რითმა –
აი, პოეტი!“

ასეთია პოეტური გამოხატვის იერარქიული პრინციპი: იღვა ქმნის აზრს, რომელთაც ზომა და რითმა აქცევს პოეტურ ქმნილებად. საძირკვლად ამ გარდაქმნას სიგვეათ უღვეს.

ჭეშმარიტი პოემა იქმნება სიგვეათთან ჭიდილში, პოეტს უნარი უნდა შესწევდეს ამომავლის ენაში დაუნჯებელი საზრისი და ამით ახალი ძალა და სინეღლე მიანიჭოს მას:

„მისი გქენიკა,
მრავალფერი
ხალის მქსოვარი,
მიღწეულ იქნას
ურყვევლი,
შეუპოვარი,
გულდაღებული
მუშაობით
შემღვე სიგვეათზე.
ლირიკა ასე
იჭედება
და მხოლოდ ასე!“

მხოლოდ ასე იხილავს მზის სინათლეს –

„იღვეები და
სახეები,
თითქმის მზადქმნილი,
ერთბამად მხატვრულ
სიძლიერით
გადმოხეიქილი“.

მხოლოდ ასე შეიძლება გაცხადდეს:

„სული პოეტის
სარკე არის
სიერცის, დროისა,
სული პოეტის
არის ცენტრი
მსოფლიოსა“.

პოემაზე გალაკტიონის ძირითადად პოეტური სიგვეითა აქვს ნათქვამი. იმედროულად მის დღეობებსა და სხვა სახის ჩანაწერებშიც გაბნეულია ცალკეული ჩანაწერები პოემისა და პოეტური სიგვეის შესახებ, ეს არის იმ იშვიათი წუთების ნაფიქრ-ნაგრძნობი, როცა იგი, პოეტური ხილვებისაგან თავდახსნილი, არსებითად თავისივე ნაღვაწის გაცნობიერებას ცდილობდა. ეს ჩანაწერები სწორედ ამით არის განსაკუთრებით საინტერესო და საგულანსხმო: შესაძლებლობა გვეძლევა, ოდნავ მაინც მიუახლოვდეთ იმ საოცარ სამყაროს, რომელსაც პოეტური აზროვნება ჰქვია, შორიდან მაინც შევავლოთ თვალი იმ პროცესს, თუ როგორ ხდება გარესამყაროს გარდაქმნა პოეტურ სამყაროდ.

„ენის პარმონიის დაცვის გარეშე არ არსებობს ნამდვილი პოემა“ – აღნიშნული აქვს გალაკტიონს შემოსხენებული პოეტური გრაქტაგის პროზაულ ვარიანტშიც. და შემდეგ „აზრის შინაგანი მოძრაობა, გრძნობათა ბუნება უნდა გახსნილი იქნას სიგვეათა რიგ-მისა და პარმონიის გარეგნულ მოძრაობაში, ფრაზების ნაირნაირობაში“.

ეს პრინციპი აზრთან სიგვეის აღქვებური შეხამებისა იმთავითვე განსაზღვრული აღმოჩნდა გალაკტიონის გაბიძისათვის: სიახლე – აი, ყოველი ახალი ეპოქის უპირველესი მოთხოვნაა, სიახლე აზრისა მოითხოვს ახალ გამოხატველობით ფორმას: „მეხუთე საუკუნის სტილი შვენიის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია“.

ტიციანი წლების დასაწყისში გალაკტიონი წერდა: XIX საუკუნემ „XX საუკუნეს საჩუქრად მორთვა მხოლოდ ერთი ზარმაცი ცხენი, ჩვენს საუკუნეს კი გაქანებული მერნები – ლურჯა ცხენები სჭირდება“.

იმავე პერიოდში განაცხადა – „ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი“.

დაეინებით იმეორებს: „ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი – ახალი სიგვეები“. ან: „შოთით და გრვეინით მიანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიაღვრები. ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას“.

განახლების სულისკვეთება მართლაც გრიგალივით შემოიჭრა ცხოვრებაში და თან მოიგანა როგორც გაუნცობიერებელი ალტკინება, ასევე ჭეშმარიტი აღტაცება.

„უღიღეს რითმებში ეხლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება, ოქები ვარსკვლავეთის რამზისა, გაფორებული მშეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი, ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ ღრს“.

ეს სტრიქონები 1922 წელს იწერებოდა. თავისთავად ღირსსაძნობია თვით სტილი ამ ნაწერისა, სიგვეათა უჩვეულო ფორმები და შეხამებანი: „პლანეტათა შეჯახება“, „გაფორებული მშეები“, „ცეცხლის ღრუბელი“ და მისთ.

ამგვარმა სტილმა გალაკტიონის პოეზიაშიც იჩინა თავი:

20-30-იანი წლების ლექსებსა და პოემებში მრავლად არის გაბნეული ანალოგიური გამოთქმები:

„აერდა ალი, მთები იწვიან,
ალმა შოთთან ზღვას მიუწია,
ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია
და ღრს დაარქვა – რევოლუცია“
(1922 წ.)

ან:
„ხომალს, ქაფიან ქარებში მავალს:
მან მოიგანა ოცნება დღემდე.
იგი გრიგალს გადურჩა მრავალს:
გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ
ამის შემდეგ“
(1925 წ.)


ან:
„ცეცხლივით ჩვენი გრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია;
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია“
(1929 წ.)

ანდა:
„გამოეშურეთ
ყოველი მხრით
მძაფრო დღეებო,
როგორც ძლიერი ენერჯით
წინ ეშურება
შეუსვენებელი დღის
ახალი სიცოცხლეები“
(1930 წ.);

ან თუნდაც:
„ვჭექოთ – სიმღერა თუჯის,
ვჭექოთ – ფოლადის პანგი,
ვჭექოთ – დროშები ქუჩის,
ვჭექოთ – ბრძოლების პანგი.“
(1930 წ.).

დამახასიათებელი ლექსიკაა: ალი, ცეცხლი, შოთი, გრიგალი, ქარიშხალი, ბრძოლა... მანამდე უჩვეულო სიგვეათ-შეხამებანი: მთები იწვიან, ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია, გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ, ქარიშხლის ხმები, სიმღერა თუჯის, ფოლადის პანგი... უჩვეულო ფორმები: სიცოცხლეები და მისთ.

(გაგრძელება იქნება)



აკი თვითონაც ამბობს:
„ბავშვობიდანვე
ის სიმორე
მგანჯაედა ერთი –
ლაქვარლოვანნი
მიგაცხადნენ
ნაქერალები,
და უკითხულობდი,
ვოცნებობდი
უმღერდი თუ ესწერდი, –
მღვედნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები“.

პოემის რაობის შესახებ იქმნება პოეტური გრაქტაგა – „საუბარი ღირიკის შესახებ“.

ვალაკტიონის სტიქია ღირიკაა.

აქ პოეტობს იგი შინაგანი გვიღისა თუ აღმაფრენის გამოსახვაგადად შეუღლედა შესაძლებლობებს.

ქართულ პოემაში არსებითად მხოლოდ მან შეძლო მაქსიმალურად ამოეშუქებინა ღირიკის ეს შეუღლედა შესაძლებლობანი. ღირიკა მისი სულის თვითგამოსახვაა, შეღმეწეებით შესაგვეის ფორმა სულიერი სამრისისათვის.

ღრმად არის დარწმუნებული: სულის უმუნავესი აღმაფრენის გამოხატვა მხოლოდ ღირიკის ძალეს:

„რაც უფრო მაღლა
მიდის აზრი
ესევეთარი,
ღირიკა ხდება
უფრო მძლავრი,
უფრო მდიდარი.
ის შინაარსით
ისევე, რაც
ფილოსოფია,
ხმათა შერწყვით
კი მუსიკის
ჰანჯთან მყოფია“.

მაშ ასე, ღირიკა არსებითად გაიბრება როგორც ადამიანის გონისა და სულის უმაღლეს მიღწევათა სინთეზი: ღირიკა არსით ფილოსოფიაა, ფორმით – მუსიკა.

აი, სწორედ ამას უნდა შევხვას ხორცი, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი ქმნილება, ანუ: უნდა აღმოჩენილ იქნას უზენაეს ხილვათა იდეალური სიგვეიერი სამოსელი:

„მარად დიადი
უნდა პქონდეს
სიგვეის მიზანი,
მარადის სიბრძნის
ამუქებლეს
სხიფი მისასნი“.

აქვე უნდა ითქვას: გალაკტიონი პოემის მხოლოდ საკუთრივ პოეტურ ქმნილებაში არ ხედავს მისთვის პოეზია ადამიანის უზენაეს სულიერ მისწრაფებათა ყოველგვარი გამოვლინებას.

„ქმნიანობის
მსუღვრელებს
და აბღვეს იმედს
თანაბრად – როგორც“

გიორგი ათონელის ნაწარმოებში თორნიკეს სახეს ბევრი საიდუმლოება ახლავს. იგი „თვინიერ ცნობისა მეფეთაისა იღუმალ მთაწმინდას მოვიდა“ (თ. III). აქაც სიმშრალეა და დეკლარაციურობა. პერალდისავით ჩნდება ასეთი რემარკა: ათანასე დიდი იცნობდა თორნიკეს საქმეებს. ეს ფრაზა ბევრ რაიმეს თავის ადგილს ანიჭებს. ათანასე ათონის უდიდესი მოღვაწე იყო. მისი სახანე დიდ ლავრად („მეტისტე ლავრა“) იწოდებოდა და ყველასთვის სანიმუშო იყო ათონზე. მისი ცხოვრება სულიერ იდეალს განასახიერებდა.

როგორც ვხედავთ, გიორგი ათონელი პერსონაჟებს წარმოაჩენს არა ერთიანი გაბმული თხრობით, არამედ რამდენიმე სანიმუშო ეპიზოდით, მნიშვნელოვანი, თითქოსდა, საილუსტრაციო ფაქტებით. ბევრ სხვა რაიმეს იგი უთმობდა ტოვებს, თორნიკეს შესახებ ორი უმთავრესი ეპიზოდია: ერთი – ბარდა სკლიაროსთან დაკავშირებული და მეორეც – თორნიკესათვის სამხედრო ამბების მოყოლის აქტობა.

პირველი ეპიზოდი საყოველთაოდ ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ წყალობით, რომლის პირველ წყარო „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ იყო.

„მას ეამსა იქმნა განდგომილება: სკლიაროსისაი და ხმელით კერძო ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყვეტულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“ (თ. IV). ბიზანტიის მაშინდელ მდგომარეობაზე სულ ესაა ნათქვამი და ამითაც საკმაოდ მკვეთრადაა ნაჩვენები ძნელებლობანი. შემდეგ სევასტოპოლის ხელით გაგზავნილი წერილი და თორნიკეს მოწვევა სამეფო კარზე (ნაწევრები ამ წერილიდან ბიზანტიის ისტორიის პირველადი წყაროებია, რადგან ისინი მოტანილი იქნებოდა უცვლელად. ასეთი იყო გ. ათონელის მეოთხედი. იოანე ვერძეა თორნიკესადმი – უარით „დიდას რისხვასა მოგაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“ (თ. IV). შემდეგ კონსტანტინეპოლი, სამეფო კარი. „მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს, პატრივით მოიკითხეს და გვერდით დასვიეს“. დედოფალი ვერძეა თორნიკეს „შეუწოდეს“.

თორნიკე ამბობდა: „მე ჩემთა ცოდვათათვის შევიმოსე სახე ესე... სწორედ სიყუდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა“... ვერძეების წიგნები დავით კურაპალატს. „კურაპალატსა წინაშე მოიწია თორნიკე“. კურაპალატმა „ფრიად განიხარა“. „სპასალარად თორნიკე განაჩინეს“. მან „აოტა სკლიაროსი და ვილრე სპარსეთამდე მეოტ წარიტყია“. „უკუნეოცა და მოიკითხა კურაპალატი“. შემდეგ მეფეებს შეხვდა და „კუთხალად მთაწმინდასვე მოიქცა ლავრად დიდისა ათანასესსა“.

„მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა“ (თ. IV).

ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბები მოწოდებულია როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდი. იგი მნიშვნელოვანია ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიისათვის, თვით ივირონისათვის, ფაქტობრივად ამ ამბებმა განსაზღვრა საბოლოოდ ივირონის დაარსება, ეს ყველაფერი მრავალმხრივია ნაჩვენები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, ლ. მენაბდე).

ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ სხვა სპექტრს. ეს დიდი ისტორიული შინაარსის შემცველი ეპიზოდი არის ნაწილი საქართველოს კლასიკური წარსულისა. კლასიკურ წარსულს ჩვენ ვუწოდებთ ეროვნული ისტორიიდან გამორჩეულ მოვლენებსა თუ პიროვნებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ერის რაობას, მის სახეს, კლასიკური წარსულის საერთო სურათის დახვეწა საუკუნეთა მანძილზე ხდება. თანდათანობით დგინდება, თუ რა უნდა განეკუთვნებოდეს მას. ცხადია, აგიოგრაფიული მწერლობა თავის იდეალებს მთლიანად წარუვალ ფასეულობად თვლის, მაგრამ ეს ეხება აღმსარებლობითი შინაარსის მქონე მოვლენებს. სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლა ბერულ მორალს უპირისპირდებოდა და მაინც სწორედ ეროვნული თვალსაზრისით განუსაზღვრავთ მისი მნიშვნელობა.

ქართველთა კლასიკური წარსულის საერთო სურათი პირველად ჩამოაყალიბა ანტონ ბაგრატიონმა თავის „წყობილსიტყვაობაში“, იგი ემყარებოდა ისტორიოსოფიის კულტურულ-რელიგიურ კონცეფციას. ივირონელებს აქ გეროვანი ყურადღება ეთმობა.

შემდგომ ცდას ეროვნული კლასიკური წარსულის საერთო სურათის შექმნისა, წარმოადგენს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“. გაცემას იწვევს, რომ „სადღეგრძელოში“ განდიდებულ გმირთა შორის არ გვხვდება თორნიკე ერისთავი, რომელმაც ბიზანტიის დამა-

მარცხებელი ბარდა სკლიაროსი დაამარცხა და რომლის მონაგებთა წყალობით დაარსდა ივირონი და განიერყო ქუეყანა (მას ბერძენებმა მიწები უბოძეს). „სადღეგრძელოში“ მოცემული კლასიკური წარსული მოწოდებულია საერთო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით. მეტადრე მას მართებდა თორნიკეს ღვაწლთა აღწერა (გარკვეული აზრით, აღნიშნული ხარვეზის ამოვსებაა აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“).

მეორე ეპიზოდი თორნიკეს მიერ საომარ ამბავთა თხრობის თაობაზე აგიოგრაფიისათვის უჩვეულო ფსიქოლოგიზმის შემცველია. აგიოგრაფიისათვის უჩვეულო ფსიქოლოგიზმის შემცველია. აგიოგრაფიას აქვს თავისი ფსიქოლოგიზმი, უმეტესწილად სასოების, მიტევების, დათმენის, ესკატოლოგიური ოპტიმიზმის თუ პენიტენციალური განცდების შემცველი. მაგრამ თორნიკესთან დაკავშირებული ერთი ფაქტი არაა

რეკავ სირაძე

პირობი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა

ნიშანდობლივი აგიოგრაფიისათვის.

თორნიკეს ვერ მოეხერხებინა „ნებისა თვისისა განკვეთა“ და ამას თვითონვე გრძნობდა და წუხდა. მის სურვილებში მხოლოდ სიყუდი ჩანდა. დიდ მხედართმთავარს თავისი თავი ვერ დაემორჩილებინა. იგი ხომ „წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა“. როცა ომიდან დაბრუნდა, მონასტერში სალაშქრო ამბებს ყველადა ხოლმე, ეს კი ყოველად მიუღებელი იყო. იოანე დიდხანს არას ეუბნებოდა, არ სურდა წყენებოდა. მაგრამ იოანესთან კვლავ-დაკვლავ მიჰქონდათ მის მიერ მონათხრობი ამბები და უკვე მოთმენაც შეუძლებელი გამხდარა. მაშინ იოანეს გადაუწყვეტია თავდაპირველად რეზინა თორნიკესთვის. თანაც გრძნობდა, რომ თორნიკე ამას იოლად ვერ დაიშლიდა, ამიტომ მთლიანად აკრძალა უშედეგო იქნებოდა და უთხოვინა, რომ სხვასთან როგორმე თავი შეეკავებინა და, თუ მაინცდამაინც მოგონებანი მოეძალებოდა, გაბრიელ ხუტეისისათვის ეამბნა.

ავტორი თანაც საჭიროდ თვლის შენიშნოს „ხუტეისი იგი მსვეთარი კაცი იყო, რომელს ბირსა მისსა მსოფლიო სიტყუა არა გამოვიდოდა“ (თ. VII). უნდა ითქვას, რომ რატომღაც თორნიკეს გამო ივირონელებს ბევრი უმეაფოფილება შეხვედრიათ. საერთოდ, ავტორი ყოველნაირად ცდილობს მიჰქმალდეს მის წინააღმდეგობას, მაგრამ ზოგჯერ ვერღარ ფარავს მას. მაგალითად, ესპანეთის იბერიაში იძულებითი გამგზავრება მოყალიბა იმ შუღლს, რომელიც თორნიკეს გამო ამტყუარა. ეს თვით იოანეს უთქვამს მეფეთა წინაშე („მოვიდა თვისი ჩემი თორნიკე და მისითა გზითა დიდთა შუღლთა შთავვარდი და ერის-კრებასა“ (თ. IX)).

ქართული კლასიკური წარსულის ნაწილად უნდა ჩაითვალოს ცნობილი ეპიზოდიც: იოანეს გადაწყვეტილება „სპანიად“ განგზავრებისა, რადგან ესპანეთის იბერებთან კავშირი ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან თავისებურებას ქმნის.

„შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რაითა აღილდო მქ თვისი და რამდენიმე მოწაფენი და იელტოლის სპანიად, რამეთუ პირველითგანვე უნდა შუღლიანობი და შფოთი, გარნა თავსედა მუნ ეამდამდე თორნიკის აშენებისათვის და რაითა შეიძინოს სული მისი, რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირდენი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“ (თ. IX).

მისულან ავიდოსში (მცირეაზიის დასავლეთით საპორტო ქალაქში). ესპანეთის აქედან მიიღობდნენ გემები. ავიდოსის განმგებელი იოანეს მეგობარი ყოფილა. მას მეფეთა გარეშე ვერ გაუხედავს იოანეს გაშვება და კონსტანტინეპოლს გაუგზავრებია. აქ კი დიდი თხოვნით ყველანი ივირონს მიუბრუნებიათ.


ესაა პირველი და ერთადერთი მოხსენება უძველეს ქართულ პროზაში ესპანეთის იბერებისა, ანუ ქართველებისა, როგორც მათ ძველი ქართული წყაროები უწოდებდნენ (იხ. რ. სირაძე, ესპანეთის იბერები ქართულ მწერლობაში, - წერილები, 1980, გვ. 3-23).

მართალია, ეს მიზანდასახულობა არ განხორციელებულა, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი კავშირის სურვილი არსებობდა. ალექსანდრე ჯანელიძის სიტყვით, იოანე „გაუდგა

გზას უკეთესი სამშობლოს საძებრად“ (საიუბილეო სიტყვა - საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების მოამბე, ტ. I, ნაკვეთი, I, 1959, გვ. 127).

ივირონელები იმ დროს, ეტყობა, ინტერესდებოდნენ ხალხთა გენეალოგიის საკითხებით, რისი გამოხატულებაცაა „ხალხთა მოდგმის წიგნის“ ნაწილების ქართულად გადმოღება (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 168-182). აქ თვით „კლტიმბერებიც“ ასე იწოდებიან - „ქართველნი დასავლისანი“. ასეთ აბლომობას ხედავდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა შორის.

ნაწარმოებიდან ჩანს, ხან სრულიად აშკარად, ხან თუნდაც ჰერეტქში საგულუვებლად, რომ გიორგი ათონელის წინაშე დგას საკითხი - რანი ვართ? ეს კითხვა სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოდგება, იქნება ეს ეთნოფსიქო-



ლოგია, ეთნოგენეალოგია თუ კულტურულილოგია.

აი, თუნდაც ერთი მცირეოდენი მინიშნება ამ რიგის საკითხებით დაინტერესებისა, გიორგი ათონელი წერს: „ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღვისა რაითურთით გამოცდილები არი გუაქეს და ჩუენი ყოველი გასარომელი ზღვით შემოსლვა-სო“ (თ. VII). ეს ეროვნულ ნაკლად მიიჩნია გიორგი ათონელს. თანაც ამას ისეთ კონტექსტში ამბობს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამითაც იყო გამოწვეული ბერძენთა მომრავლება ივირონში და აქედან გამომდინარე სავალალო შედეგები.

გიორგი ათონელი არ ფარავს, რომ ქართველთათვის დამახასიათებელია ერთმანეთის გაუტანლობა, შუღლი, საერთო-საქვეყნო საქმის დალატი, თუმცა ამას იგი ზოგადად ეროვნულ ნაკლად არ აღორბულირებს, მსგავსად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა (ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განმდიდრდენ, განსუქდენ, მშვილობა პოვონ და განსუენება, იწუებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატანე ქართლისა“). ისტორიკოსი საერო ცხოვრებას ეხება, გიორგი ათონელი კი სასულიეროს და აქაც შუღლი და გაუტანლობაა.

მართლაც, დიდ საფიქრალს აღუძრავდა ყველას ქართველთა ურთიერთშუღლი, როცა ივირონი უკვე დამკვიდრდა როგორც ახალი სავანე, როცა გამოიკვეთა მისი მრავალმხრივი მიზანდასახულობანი, როცა იოანეს, ვითარცა ყოველივე ამის თავკაცს, უფლება ჰქონდა დიდი კმაყოფილება ეგრძო, მოხდა ისე, რომ, იოანე იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა აქაურობა, ხელი აეღო ყველაფერზე. ძალზე საგულისხმოა, რომ საქართველოშიც ვერ მოდის და ესპანეთის „ქართველებთან“ წასვლას აპირებს.

ეროვნული ნაკლოვანებებითაა ახსნილი ისიც, რომ ივირონის არსებობას საფრთხე შექმნია. ცხადია, ეს ბერძენთა სიმდაბლით მომხდარა, მაგრამ არაანაკლები ბრალი ქართველებსაც მიუძღოდა. ექვთიმე რომ წინამძღვრობდა დატოვა, ივირონის ხელმძღვანელი გამხდარა გიორგი, მას იმთავითვე შეუცვლია ექვთიმეს მიერ დაფუძნებული წეს-განგებანი (სწორედ ამით აიხსნება ის, რომ გიორგი ათონელი მეტად დაწვრილებით გადმოსცემს ექვთიმისეულ 42 წესს).

ქართველთაგან იშვიათი როდი იყო ისიც, რაც გიორგი წინამძღვარმა ჩაიდინა: ქართველები დაამდაბლა და ბერძენები შეიყვარა და მოამრავლა.

გიორგი ათონელი ამის ახსნაც ეროვნულ ფსიქოლოგიაში ეძებს და დაასკვნის: „აღრე შევირჯეითო და მიმოსულასა მოსწარფედ შევუდგებითო და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თვისთაცა სულთა და ადგილსაც“ (თ. XXIV).

ყოველივე ამის გამო დაიწერა ის ცნობილი ძეგლისდება, რომელიც ნაწარმოებს ერთი ბოლოს და საერთოდ - მთელი ნაწარმოები. ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, მწერლობის შესწავლის მიზანია წარსულის გაცოცხლება, ანუ იმის გარკვევა, თუ რა არ ეკუთვნის წარსულიდან მხოლოდ ისტორიას, რაა

ჩვენთვისაც ძალიანელი, ესთეტიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ისტორიულ ფაქტს თვით თავისივე ისტორიული შინაარსით (ს. გულიგა. Эстетика истории. М., 1980).

ამ თვალსაზრისით, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ არაერთი ისეთი ისტორიული ფაქტი, რომლებსაც ჩვენთვის ესთეტიკური მნიშვნელობა ენიჭება. იგულისხმება არა ის მოვლენები, რომლებიც ნაწარმოებში მხატვრულადაა ხორცშეხმული, არამედ ისინი, რომლებიც უამისოდაც ესთეტიკურად მნიშვნელობს. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა ხდება ისტორიულ მოვლენათა ესთეტიკისათვის საფუძველი?

ამ შემთხვევაში რამდენიმე მომენტზე შევიძლია მივუთითოთ.

ცალკეული მათგანი ფაქტურად უკვე აღვნიშნეთ. მაგალითად, ესაა მოვლენათა მიკუთვნება ეროვნული კლასიკური წარსულისადმი. მოვლენა თუ კლასიკური წარსულის ნაწილია, იგი ეროვნულ შეგნებაში უთუოდ ესთეტიკურდება. სხვა ფაქტორებიც არსებობს, მაგრამ ჩვენ ამჟამად საჭიროდ ვრაცხო უფრო დედა გავამახვილოთ ერთ-ერთ მათგანზე.

მას პირობითად ვუწოდებთ „განუმეორებლობის ესთეტიკისა“, მაგრამ ამას განსაკუთრებული განმარტება დასჭირდება, როცა სიტყვა აგიოგრაფიას ეხება. ერთი შეხვედრით, გამოირცხული უნდა იყოს აგიოგრაფიაში განუმეორებლობის ესთეტიკაცია, რადგანაც იგი ნიმუშის ესთეტიკას ემყარება. პიროვნება მას აინტერესებს არა ისე, როგორც იყო, არამედ ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. ეს ცნობილი და გავრცელებული ტენდენციაა. ამ მხრივ, აგიოგრაფია ერთგვარად უახლოვდება კლასიკურ ფილოსოფიას, რომელსაც ადამიანი აინტერესებდა თავის ზოგადობაში, თვისი „არსით“. არსის ძიებაში კი ერთგვარად იკარგება ადამიანის პიროვნულ-ინდივიდუალური განუმეორებლობა. ე.ი. თვალთახედვა ასეთი იყო: ინდივიდიდან არსისაკენ.

მაგრამ აგიოგრაფიაში ადგილს პოვენს განუმეორებლობაც და მისი შეთავსება ზემოაღნიშნულ ტენდენციასთან ხდება ანტინომიური აზროვნების საფუძველზე. ანტინომიურობა საერთოდ დამახასიათებელია მთელი შუასაუკუნეობრივი ესთეტიკისათვის (მ. ბიჩკოვი). განუმეორებლობის ესთეტიკისა არსებობდა განსაკუთრებულად აგიოგრაფიის ისტორიზმით. ე.ი. იმით, რომ აგიოგრაფია ისტორიულ ამბებს, კონკრეტულ-ისტორიულ პიროვნებებს ასახავს. მაგრამ როგორც ვთქვით, აგიოგრაფიაში ისინი ემსგავსებიან ქრისტესს, პირველწმინდანებს.

გამოირცხება თუ არა ეს განუმეორებლობაში სწორედ აქ შემოდის ერთი შემთხვეული ტენდენცია, რომელიც ემყარება ერთგვარადობის ცნობილ ევანგელურ პრინციპს: სასწაულებში ერთგვარადია, ერთგვარადია შესაქმე, ევანგელური მისტერიები და ა.შ. ამის კვალბაზე ერთგვარადია ყოველივე ის, რაც აგიოგრაფიულ პერსონაჟებს შეეხება და ევანგელ განსაზღვრავს ერთგვარადობის ფასეულობას. ასეა „სანქტირებული“ აგიოგრაფიაში განუმეორებლობა. ეს გვაძლევს საშუალებას წამოვკრათ საკითხი, რომ აგიოგრაფიაში განუმეორებლობის ესთეტიკაცია შეიძლება იყოს. სწორედ ის, რომ კონკრეტული მოვლენა უმალეს კანონზომიერებათა გამოვლენად ითვლება, ხდება მოვლენათა განუმეორებლობის ესთეტიკაციის საფუძველი.

ამას უნდა დავუკავშიროთ თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და აქტილოგიის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართველ ფილოსოფოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს (ა. გულიგა აღნიშნავდა ქართველმა მეცნიერებმა უფლებამოსილი ჰქვასო აქტილოგია; იქვე, გვ. 280). ესაა ინტერესი პიროვნებისადმი, ფილოსოფიური ესთეტიკური ინტერესი პიროვნულ-ინდივიდუალური განუმეორებლობისადმი. ძველი თვალთახედვა - ინდივიდიდან არსისაკენ - დამეტრალურად იცვლება და ასე ცდილობდა არსიდან პიროვნებისაკენ. უმალესი აქტილოგიური ფენომენია პიროვნების განუმეორებლობა და განუმეორებლობაშია ადამიანის არსისაზოგადობა პიროვნებათა ერთობლიობა და არა ზეპირიწერილი მასა ყოველივე ეს ითხოვს, რომ ადამიანობაზე ფიქრისას მხოლოდ ზოგად კანონზომიერებაზე და კანონებზე კი ნუ ვფიქრობთ, არამედ თავად ადამიანზე ეფიქროთ, ცოცხალ პიროვნებაზე. სიცოცხლეშია ადამიანის არსება და არა „მკვდარ“ ფილოსოფიურ თეორიებში.

(კაცოძე ელენა ივანესა)

ქართული ენა

მასწავლებლის წიგნი
ამოცემა თემა (ორი საათი)

მეორე გაცვეთილის თემა „ქართული ენა“ ამ გაცვეთილის მიზანია, გამოიკვლიოს ის, რომ ქართულთა დედაენა - ქართული ენა - ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიო ენათა შორის.

მასწავლებელი იწყებს იმის შემოწმებით, ვინ რომელ კუთხეს იცნობს; რითი მიუტყვევია ამ კუთხეებს ბავშვების ყურადღება და თუ შეუძლებელია მათი მეტყველების განსხვავებული სალიტერატურო ქართულთან შედარებით. შეიძლება იმაზეც გადავიტანოთ ყურადღება, რა იყო ის თავისებურება, რომელიც ბავშვებმა შეამჩნიეს.

შემდეგ ვსვამთ კითხვას: რა და რა კუთხეებია საქართველოში? თანაც აღვრიცხავთ, რომელი კუთხეები დასახელდა ბავშვების მიერ.

შემდეგ გადავდივართ იმ ლექსის განხილვაზე, რომელიც მეორე კლასში ისწავლეს ბავშვებმა და რომელსაც „საქართველო“ ჰქვია. ამ ლექსში საქართველოს ყველა კუთხეა ჩამოთვლილი, მათ შორის - ისტორიულად ამოცილებული ჩვენი ქვეყნიდან. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კუთხეებია: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, მესხეთ-ჯავახეთი, მთიულეთ-გულდამყარი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, თუშეთი.

თითოეული ეს კუთხე მეტყველების მეტ-ნაკლები თავისებურებით გამოირჩევა. ზოგის გაგება აღარ ხერხდება, ანუ ისინი ცალკე ენებად არის ჩამოყალიბებული (ასეთია მეგრული და სვანური); დანარჩენებში არსებული განსხვავებები კი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთთან ამ კუთხეებზე საუბრის დროს გაგებინება მოხერხდეს.

ერთი კანონზომიერება: რაც უფრო ცენტრთან ახლოა დიალექტი, მით უფრო ახლოს არის ის სალიტერატურო ქართულთან, რაც უფრო შორის არის - მით უფრო მეტია მასში განსხვავებული და თავისებური.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ კილოების განსხვავებები დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა. კილოს დაცლებას ხელს უწყობდა ტერიტორიული და სოციალური იზოლაცია, რაც გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა საუკუნეებში არ არსებობდა რადიო-ტელევიზია, არ იყო გზები და ტრანსპორტი და მთებში და ხეობებში მოწყვეტილი კუთხეები ბუნებრივი იზოლაციის პირობებში ვითარდებოდნენ.

საზოგადოდ, ენისათვის დამახასიათებელია ცვლილება დროთა განმავლობაში, მაგრამ ეს ცვლილება მით უფრო მკაფიოდ ხდება, რაც უფრო მეტია იზოლაცია; მათ შორის, ყოველი კუთხე თავისებურ მუხრნობას ავითარებს. რაც ასევე აისახებოდა ამ ხალხის დედაენაში. ამაზე ფაქტებით ცოტა გვიან იქნება საუბარი და აქ გარკვეული ნიადაგი შემზადდება ამისათვის.

აქედან ერთი დასკვნაც გამოდინარეობს და ეს შეიძლება გამოვიყენოთ: თუ კილოებში ცვლილებები დროთა განმავლობაში იმატებს, მაშ, უფრო ადრე და ადრე ეს განსხვავებები ნაკლები და ნაკლები იყო, ანუ ქართული უფრო ერთიანი იყო, ვიდრე ისტორიულმა პროცესებმა ჩამოაყალიბა.

ამის შემდეგ მოწვევებს ვაცნობთ ტექსტს და ყურადღებას ვამახვილებთ რამდენიმე ძირითად დებულებაზე:

ა) კავშირი ტერმინებისა: საქართველო, ქართული, ქართული.

ბ) ქვეყნის, ეროვნებისა და ენის სახელწოდებები წარმოშობით ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ის მიანიშნებს, რომ სახელწოდების ჩამოყალიბებაში ამ ენის როლი გადაწყვეტილია.

გ) ქართული დედაენა. ეს ნიშნავს არა მარტო ამას, რომ ქართული ჩვენი მშობლიური ენაა და ის დედად არის დასახული, არამედ იმასაც, რომ „დედაენა“ ნიშნავს მთავარ ენასაც (გავიხსენოთ დედაბოძი „ქართული დარბაზიდან“).

დ) ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა.

რას ნიშნავს სახელმწიფო ენა? - სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია, რომელიმე ერთ ენა იყოს გამართლებული და ოფიციალურად სავალდებულო. ანუ: ოფიციალური ურთიერთობების, ინფორმაციის საშუალებებსა და სწავლა-განათლებლაში ის არის საერთო ენა.

სხვათა შორის, ტერმინი „ინფორმაციის საშუალებები“ გამოყენებულია იქ, სადაც ქართული ენის განვითარებაზე საუბარი, აქ იგულისხმება არა მხოლოდ პრესა, რადიო-ტელევიზია, არამედ - თანამედროვე კომპიუტერი და ინტერნეტიც.

სახელმწიფო ენა გულისხმობს მოქალაქეთა მოვალეობას, ყველამ ერთხანად იზრუნოს სალიტერატურო ენის დაცვაზე, შეისწავლოს და გამოიყენოს ის ყველგან, სადაც ამის ვალდებულება (აუცილებლობა) არსებობს.

ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეროვნებისა, ერ-

თნიარად არის ვალდებული სახელმწიფო ენის მიმართ.

დანარჩენ ასპექტებზე (მწერლობა, განათლება, მეცნიერება...) შეჩერება შესაძლებელია არსებული დროის გათვალისწინებით.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევეთ საშინაო დავალებას: წაიკითხოთ ტექსტი და წერილობით გასცენ პასუხი დასმულ კითხვებს.

გაცვეთილს ახლავს თითო სტროფი მეგრული, ლაზური, სვანური, თუშური და ხევსურული პოეზიები. ამ ნიმუშებში არსებით ენობრივ განსხვავებას ბავშვები თვითონაც დაინახავენ და აქ შეიძლება შეეჩერდეთ მხოლოდ შთაბეჭდილებაზე და არ მივმართოთ ტექსტის არანაირ გაცნობას (მით უფრო - ანალიზს).

ცნობილი მეგრული მითოლოგიური ლექსი პირველად მესამე კლასში იქნა შეტანილი სპეციალურ ტექსტში („ქართული დარბაზი“). მიზანი ამისა არის ერთგვარად „ყურის მიხვევა“ იმ მასალისათვის, რომელიც შეიძლება რომელიმე რეგიონში გასაგონად უცხო იყოს. აგრეთვე ბავშვების ცნობიერებაში იმის ჩანერგვა, რომ ის, რაც ქართულ ენას, ფართო გაგებით, ეკუთვნის, ძალზე მრავალმხრივია და მრავალფეროვანი; რომ ყოველივე ეს ერთი მთლიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილია.

ახლა ამ ნაწილს მასალას ემატება სვანურის, ლაზურის, აგრეთვე თუშური და ხევსურული პოეზიის ნიმუშები. მართალია, ამ ნიმუშების არც დასწავლაა გამოწვეული და არც, მაინცდამაინც, ტექსტის გაგება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბავშვების ცნობისმოყვარეობას, მოგვეყვას მათი განმარტებები:

ლაზური

ჩიტს გაქცევა უნდოდა,
ვერ გაფრინდებოდა, სველი იყო,
გული დიდი ჰქონდა და
პატარა რომ იყო, არ ახსოვდა.

სვანური

მჭონდა კბილი,
არ მჭონდა თხილი,
მაჭეს თხილი,
არ მაჭეს კბილი.

თუშური

-იარე, კატაე, დარბაზში წაიღებთ,
ლუდის კასრი უნდა დავლოცოთ.
-მე დარბაზში ვერ წამოვალ, ფეხი და
მეარალი მტკიცია, ორმა დედამ ერბო შექაბა,
მე კი - უდასაშუალოეს - მცემესო

ხაზურული

ჩიტის იძახის: წიო,
კილოს პირას ვიზიარო,
მარცვლებს ვკრეფ და
კუჭში ვიყრიო.

აქვე მოცემულია „მწარე გოგარის“ სახეობის სახელწოდებანი სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია ჩვენება იმისა, რომ სალიტერატურო (საერო) ენის ერთ სიტყვას დიალექტებში ხშირად აღმოაჩნდება ხოლმე სინონიმები. მათი დასწავლა, ბუნებრივია, მიზნად არ არის. ამ მასალის ეფექტი არის მის სიმრავლეში და ცალკეული მოსწავლეების მიერ მათთვის ნაცნობი ერთეულების „მოკნაში“. საინტერესოა იმაზე დაკვირვება, რამდენად არის ეს სურათი შენარჩუნებული დღევანდელ დიალექტებში. შეიძლება ბავშვებს დავავალოთ რამდენიმე ასეთი ფაქტის შემოწმება უფროსებთან (ვთქვათ, რა ჰქვია „ასკილს“, „ანწლს“, „ბუერას“...).

მოსწავლეებს ვაძლევეთ დავალებას, ქართული ანბანის გამოყენებით დაწერონ ხუთი-ათი სიტყვა ასომთავრულად და დაიმასოვრონ საკუთარი გვარ-სახელის დაწერისათვის.

შემდეგ გაცვეთილზე ვამოწმებთ დავალების შესრულებას და მასალის ცოდნას შეკითხვების მეოთხით. ასომთავრულით ვაწერინებთ დაფაზე საკუთარ გვარ-სახელებს. შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ძველ ქართულში ასოების რაოდენობა მეტი იყო და განსხვავებული ასოები მხედრულშიც არის ასახული. ამათგან სამი (გ, ჯ, ჟ) დღევანდელ კილოებშიც არის შემონახული და შეიძლება ამაზე მეტიც ინფორმაციის მიწოდება (აქ უნდა გავითვალისწინოთ ის რეგიონიც, სადაც ვასწავლით, ვინაიდან ამ ასოთა შესატყვის ბგერებზე მითითება ადილია იქ, სადაც მათ რეალურად წარმოიქმნენ (მაგალითად, გ - კახურში, ჯ - ხევსურულში, ჟ - სვანურში და ა.შ.).

იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში მიზანია არა ფონეტიკური სისტემის ისტორიული ცვლილების ჩვენება, არამედ კონკრეტული ასო-ნიშნების ბგერითი იდენტურობა (რა კითხვაც თავისთავად და ეხებადებოთ ბავშვებს).

სოსო სიგუა

მუთისი - ქართული მოღაჩიხის აკადემია

(დახასრული)

„სისუფრყანწელთა“ ორდანი

„ცისუფერი ყანწების“ პირველ ნომერში გიციან გაბიძე წერდა:

„სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ“, „გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია“.

მაგრამ ეურნალში ვრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი ლექსი „სირენას სიმღერა“ გრამატიკის გავლენას ამქვეყნებდა. ხოლო „სონეტი ლოცვის“, რომელიც ეძღვნებოდა „ახალ მხედართ“ - ეალერიანს, პაოლოს, გიციანსა და გალაკტიონს, მართლაც იყო სიმბოლისტური.

ეს ოთხი ავტორი ვრიგოლის თვალში განასახიერებდა აპოკალიპსის ოთხ მხედარს, რომელთა გამოჩენას მოჰყვება ძველი სამყაროს ნგრევა.

შეიძლება ითქვას „ცისუფერი ყანწები“ სიმბოლისტურ მიმდინარეობად აქციეს გალაკტიონ გაბიძემ, გიციან გაბიძემ და ეალერიანს გაფრინდაშვილმა. მათ თავიანთ რკალში გადაიყვანეს პაოლოც, ვრიგოლიც და იოსებ გრიშაშვილიც.

გიციანი და ეალერიანი თეორიიდან ამოდიოლნენ და ისე თხზავდნენ პირველ სიმბოლისტურ ლექსებს. ხოლო გალაკტიონს უკვე დაწერილი ჰქონდა სიმბოლისტური ლირიკის წარუვალი ნიმუშები.

მათგან განსაკუთრებით პოპულარული იყო „მე და ღამე“, „მერი“ და „ლურჯა ცხენები“. ამ ლექსებს აღიარებდნენ „ცისუფრყანწელები“.

პაოლო იაშვილი სყენიდან კითხულობდა „მერის“.

უკვე არსებობდა გალაკტიონის მიერ შექმნილი ახალი ქართული ლექსი, რომლის ესთეტიკა და პოეტიკა სიმბოლიზმს ეუფნებოდა. მაგრამ გალაკტიონი არ იყო თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი.

ეს მისია შეასრულეს გიციანმა და ეალერიანმა.

მთელი ქართული მოღერნიზმი ევროპისკენ სწრაფვა იყო. ეს გენდენცია გადავიდა პოლიტიკაშიც და ასე გამოხატა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე კორდანიამ: „მირჩენია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“, ე.ი. რუს ბოლშევიკებსო.

„ცისუფრყანწელებს“ აკლდათ პოლიტიკური სიფხიმლე, მაგრამ პარიზი იყო მათი ოცნება.

ამ პოეტიკის დასის წევრები იყვნენ - გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, გიციან გაბიძე, ეალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლიაშვილი, რაქველ გუგუაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიქვიანი, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), ივანე ყიფიანი, ლევა ჯაფარიძე... მათ რიცხვს კოლაუ ნადირაძე უმაგებდა ნიკო ლორთქიფანიძეს.

ეს ავტორები სიგუვის ოსტატებად იქცნენ „ცისუფრყანწელთა“ სკოლაში და შეძლეს ნიჭის მაქსიმალური გამოვლენა.

„ცისუფრყანწელები ერთი პოეტიკა“, სამართლიანად შენიშნავდა შვიდი წლის შემდეგ პაოლო იაშვილი, ბუნგარი, იმპროვიზატორი და ორატორი.

მათგან განსხვავებით ინდივიდუალურად მოვიდნენ სხვა მოღერნიზმები - გალაკტიონ გაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვახილ ბარნოვი, გერენგი გრანელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე...

„ცისუფრყანწელთა“ ორდენს ჰქონდა ორგანიზაციული დისციპლინა, საოცარი სიყვარული და თანადგომა ერთმანეთისადმი.

ამ მხრივ მართლაც ჰგავდნენ ათქამუგ ასურელ მამას, ქართლში რომ დათესეს ნამდვილი ქრისტიანობა.

მაგრამ კარჩაკეტილი არ ყოფილან. პირადად იცნობდნენ რუს მოღერნიზმებსა და ავანგარდისტებს - ივორ სუვერინის, ფიოდორ სოლოგუბს, კონსტანტინ ბალმონს, ანდრე ბელის, სერგეი ვიროლენკოს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინს, ვახილი კამენსკის, ალექსი კრუჩინინს, კირალ ზდანევიჩს...

მაგრამ ქართველები უფრო იყვნენ დეკადენტობით გატაცებული, ვიდრე რუსი კოლევები, რადგან იდეალად თვლიდნენ ფრანგ „დაწყველილ პოეტებს“.

ალი არსენიშვილი წერდა სწერდა ალექსანდრ ბლოკს, „მშვენიერი ქალბატონის“ პა-

ლადისს. მოღწეულია დიდი რუსი პოეტის პასუხი, რომელიც თარიღდება 1912 წლის 8 მარტით.

ბლოკი ურჩევდა ქართველ ჭაბუკს, თავი შეეკავებინა ულსისუის მინდერებისა და დეკადენტური ტკბილი შხამისაგან.

მაგრამ ცისუფრყანწელებს არ აეწყდებოდათ ქართული კლასიკა:

1913 წელს პაოლო იაშვილმა პარიზში სიმბოლისტ კონსტანტინ ბალმონს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულმნიშვნელოვანი გამოცემა, რასაც მოჰყვა ამ პოეტის თარგმანის რუსულ ენაზე.

პაოლოს არ მოსწონდა დასკვ. შექმნილი და ბუთოვნი, ე.ი. ისევე თავს ახსენა უკუკრისტიული ნიშანიზმი: „პაოლო იაშვილს მომეყინა ყვითელი დასკვ“.

ასეთი მიქსიმალისტი XIX საუკუნის ქართველ მწერლებს ხანმოკლე რიგითი ხათვლიდა. ამიგომ მკლავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“, ილია ჭავჭავაძის „ქართულის დედას“, აკაკი წერეთლის „აღმართ-აღმართს“, მწარე სტრიქონებს არ იშურებდა მათ გასაქილიკებად.

ყველა „ცისუფრყანწელმა“, ვიორგი ლეონიძემაც კი, თავისი საუკეთესო ლექსები დაწერა სიმბოლისტობის პერიოდში.

დასი სამაგალითო მთლიანობით გამოირჩეოდა. იმეფათია ლიგურატური ვერთიანება, რომელშიც არ ყოფილა მინამუდვილი და განსეთქილება.

ეს ჯგუფი კი, რომელიც 17 წელი არსებობდა, არ გათიშულა, უთანხმოება არ წარმოშობილა.

ისინი კოლექტიურად ამკვიდრებდნენ ამ ესთეტიკას, რაც გადმოსცა ერთიანობა გალაკტიონ გაბიძემ, და მათზე გაყილებით უკეთ.

მაგრამ ყველა „ყანწელი“ ერთ ამრს როდი იმეორებდა. მათ ჰქონდათ საკუთარი თვალთახედევა, ოღონდ მეტი რამ აერთიანებდათ, ვიდრე სიმეფადით.

მათ შორის არც ცალკეული პოეტების შეფასების გამო არსებობდა თანხმობა:

ეალერიან გაფრინდაშვილი „ერე უკუკრისტის“ უწოდებდა კამენსკის.

